

მოსწავლის  ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

წერილები



გააკურსულაქაურის  
გამომცემლობა

# სარჩევნი

ფშავლები .....	5
მღვდლების ვინაობა .....	39
გავზარდოთ ახალთაობა .....	43
ენა .....	44
კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი .....	47
ვერ მოჰკლეს! .....	51
გიკვირთ? .....	54
ნიჭიერი მწერალი .....	58
ქალთა შესახებ .....	65
საახალწლო ფიქრები .....	67
კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი .....	72
რა არის თავისუფლება? .....	85
ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ .....	91
ამას ვამჩნევ .....	112
ცოტა რამ ჩვენის ცხოვრების ავ-კარგისა .....	113
ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგი .....	127
ფიქრიანი .....	131
ფიქრები .....	137
რამე-რუმე მთისა .....	144
ფიქრები (2) .....	160
მახლას! .....	172
ბიუროკრატის ჩივილი .....	175
სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე .....	180
ჩემი პოემების შესახებ .....	183

# ფშავლები

(მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები)

„თამარის დროშა გაშალეს,  
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:  
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,  
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი“...  
გრ. ორბელიანი

## I

### საზოგადო შენიშვნები

ძველს ნაქალაქარს ჟინვანს ორი არაგვი ერთმანეთს ერთვის, ერთი „მთიულეთისა“ და მეორე – „ფშავისა“; ფშავის არაგვი შესდგება ორის შტოისაგან: ერთი თვით ფშავის არაგვი და მეორე – ხევსურეთისა, რომელნიც ერთმანეთს ერთვიან ორწყალში, ჟინვანიდამ ორმოცის ვერსის სიშორეზედ. ხევსურეთის არაგვი ერთვის ფშავის არაგვსა მარჯვნიდან, აქედამ იწყება ხევსურეთი. ფშავის არაგვის მარჯვენა და მარცხენა მხარე შეკრულია მაღალის და ტყიანის მთებით, რომლების შუაზე შევიწროებული მოოხრავს და ეშურება მტკვრისაკენ; მის ორივე ნაპირებზედ, ჟინვანიდან მოყოლებული, მთის კალთებიდამ და წვერებიდან მოიყურებიან მიწური სახლები და საბძლები – ეს ფშავლების სადგურები არის. ფშავლები სცხოვრობენ ეგრეთვე ივრის ნაპირებზედ, მოყოლებული ბოჭორმიდამ ივრის

სათავემდე (კუდამდე) და შეადგენენ თიანეთის მაზრასა. ძველ დროში ფშავლებს ფხოველებს ეძახდნენ; თვით ჩვენი მემატიანენი ამ სახელით იხსენიებენ, ხოლო ძლიერ იშვიათად შეხვედებით მათზე ლაპარაკს „ქართლის ცხოვრებაში“. ფშავლების ჩვეულებასა და სარწმუნოებაზედ ჩვენ ვერაფერს ვპოობთ მემატიანეთა მოთხრობაში; სხვა ქართველების ჩვეულებაზედაც ძლიერ ცოტას გვეუბნება „ქართლის ცხოვრება“. საზოგადოდ, ყველა ხალხების მემატიანენი გზას უქცევენ მდაბიო ხალხის მდგომარეობას, მათ ჩვეულებას და სხვადასხვაგვარ ცხოვრების აკვარგიანობას. სისწორით რომ ვსთქვათ, არც კი არიან გასაკიცხავნი, რადგან არ იყვნენ ისინი იმდენად გონებაცხოველნი, რომ ჰსცოდნოდათ, რა უფრო გამოსადეგი იქნებოდა მათის შვილებისათვის, – ჩვენთვის. ჩვენი მემატიანესაგან, სხვა მოკლე ცნობათა შორის, ვიცით ფშავლებზე შემდეგი: მირიან მეფემ და ნმ. ნინომ მოუწოდეს „ფხოველნი“ და მათთან ერთად სხვა მთიულები „მსგავსნი ნადირისანი“, რათა მიეღოთ ქრისტიანობა, მაგრამ „უკუიქცნენ“-ო. როდესაც პომპეიმ გამოიარა ურიცხვის ჯარით, მაშინ „ფხოველნი“ რიცხვით სამასი კაცი დაუხვდნენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინაობა: ვინა ხართ? გყავთ მეფე თუ არაო? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისაგან არიან ისინი დაყენებულნი მეფის კარის მცველად. როგორ იომებდითო, – ჰკითხავდა პომპეი, – რომ ვინიცობაა მომესია თქვენთვის ჩემი ჯარით? მაშინ ფხოველთ გაიძვრეს ხმლები, იფარეს ფარები და დაერივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათის ხელმარჯვეობით, იარაღის ხმარებით. დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გაისტუმრა მშვიდობით.

ფშაველი არის გაშლილის, მუდამ სიამაყის და მხიარულების გამომხატველის სახისა, ახოვანი, გულკეთილი, მომთმენი და, როგორც ყველა მთის კაცი, სტუმრის მოყვარე.

ვისაც უცხოვრია ფშავლებში, ის მაშინვე იცნობს ფშაველს სიარულზე, თუნდ ერთის ვერსის სიშორიდან. როდესაც ფშაველი დადის, გეგონება, კვერსა სცემსო. როდესაც ფშაველი გელაპარაკება, სიტყვის თავზე ატანს: „გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“, „დამიტირე“, „მოგიკვდე“; თუ სასმელს დააღვინებ, დაგიბრუნებს თასს და დააყოლებს: „შენსამც ჭირს დავლევ!“ ფშაველი უფრო სასიამოვნო სანახავია დღეობაში (ხატობაში). მაშინ ტყავს იხდის და ირთვება. ფშაველის მამაკაცის ტანსაცმელს შეადგენს: მოკლე შავი შალის ჩოხა, შალისავე განიერი შალვარი, წითელი დარაიის ახალუხი; ამასთან მკერდზე ასხმული აშურმა (ვერცხლის ბალთები ერთმანეთზედ აკინნლული), მხარილღივ გადაგდებული შიბიანი და საღტებშემოკრული ტარიელის მათრახი, რომელიც ჩხუბისათვის აქვს დამზადებული. ფშაველი ქალი არა ნაკლებ სიამოვნებას აღძრავს კაცის გულში თავის კლასიკურის მორთულობით. ქალს საშინაოდ აცვია ჯუბა (შალის კაბა), ფაფანაგი (მოკლე ჩოხა) და ტყავი; თავზედ ახურავს ჩითის ჩიქილა ანუ ლეჩაქი, გარს შემოკრულის შავის ხელსახოცით. ხატობის დროს ის ისე გამოიცვლება, როგორც გაზაფხულზე ბუნება აყვავდება წითლად და ყვითლად. ხატობაში (დღეობაში) ან ქორწილში როდესაც არის ქალი, იმას აცვია წითელი კაბა და ყელზედ ჰკიდია ვერცხლის შიბები. ესე მოკაზმული ეჩვენება და გაუთამაშდება თავის ნაწალს.

ფშაველს უყვარს ფართოდ ცხოვრება, არის დაუღალავი მუშა, მაგრამ უზომოდ ჰსცხოვრობს: თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიში არ იცის. მანამ აქვს, უხვად ხარჯავს და, როდესაც გაუთავდება, ვალით გაიმართავს ხელს. სახელისთვის შრომა, მუშაობა მარტო კაცს არ ეკუთვნის, მამაკაცს გვერდს უდგადედაკაცი თითქმის ყველა საქმეში და ვაჟკაცურად, კაცთან ერთად, ეწევა ცხოვრების უღელს: მკაში, ლენვაში, ხვნაში, შეშის მოტანაში. ის არის ნამდვილი მეუღლე კაცისა. დედაკაცი

იკიდებს შეშის ტვირთს და წინდის ქსოვით ორი ვერსის სიშორ-  
იდამ მოაქვს სახლში. დედაკაცს, გარდა კაცურის შრომისა,  
აქვს თავისი სადედაკაცო საქმეცა, – ის ქმარს და შვილებს  
„თავის ხელით აცმევს“, როგორც თვითონვე ამბობს: მხოლოდ  
საპერანგის და საახალუხის ყიდვა სჭირდება. დედაკაცი ჰქსოვს  
ფარდაკებს, წინდებს, ხურჯინებს, ფლასებს, შალებს, სთელავს  
ნაბდებს. ყველა ეს ხელობა ძველს დროში ჩვენს ქალებს სცოდ-  
ნიათ, რადგან რუსთაველს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი,  
ცხოვრებიდამ ამოგლეჯილი სურათი, როდესაც ის ადარებს  
მხდალს, ლაჩარს კაცს ქსლის მბეჭველს დედაკაცსა:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა!“

პურის გამოცხოვა, საჭმლის გაკეთება და შინაურობის  
მოვლა ხომ ყველგან დედაკაცის ვალია. ფშაველი ირთავს  
ცოლს მოტაცებით, – ეს სახელად მიაჩნია. მოტაცებით ცოლის  
შერთვა ძველად ევროპის ხალხებმაც იცოდნენ და, როგორც  
მოგვითხრობენ მეცნიერნი, სპენსერი, ლებოკი და ტაილორი,  
დღეს ეს ჩვეულება ველურ ხალხს აქვს ისევ მტკიცედ. ტაილორს  
მოჰყავს ვილიამსის სიტყვები ქალის მოტაცებაზე: „ფიჯის კუნ-  
ძულების მცხოვრებნი იტაცებენ საცოლოებს, ანუ ისე, თითქო  
ძალას ხმარობენო, ანუ მართლა ძალით“.\* ფშავლებში მოტა-  
ცება ქალისა ისე ხშირად აღარა ჰხდება დღეს, როგორც წინათ,  
რადგან „კანონისა“ ეშინიათ. რაკი ცოლს მოიყვანს ფშაველი,  
გააჩალებს ქორწილს, რომელიც სამი დღე მაინც გასწევს ხოლმე  
დიდის ამბით და, რასაკვირველია, დიდის ხარჯითაც. ნახე-  
ვარ წლის განმავლობამდი ის არ ელაპარაკება ცოლს, ოჯახში  
„ახალყოილნი“ – ასე ეძახიან ახლად დაქორწილებულებს,  
– უმძრახად სხედან და თუ არავინ ჰხედავს, რა თქმა უნდა,  
ერთმანეთს დაუტკებებიან. ეგრეთვე რძალი მოკრძალულია

\* Т а й л о р. доисторический быт человечества. გვ. 388.

მამამთილთან. ამის მსგავსი ჩვეულება მოჰყავს ტაილორს სხვადასხვა ხალხების ცხოვრებიდან და აქვს მოქცეული X თავში. აი მისი სიტყვები: „ინდოელი სიდედრი და სიმამრი ვერ შეხედავს პირდაპირ თავის სიძეს; ესევე ჩვეულება აქვს კრისებს და ფიჯის კუნძულების მცხოვრებთა. მონგოლებს და კალმიკებს აქვს ჩვეულებად – პატარძალს არ შეუძლიან დაელაპარაკოს თავის მამამთილს, ვერც დაჯდება იქ, საცა მამამთილია“. \* ტაილორი განაგრძობს ამ ზევით მოყვანილ ხალხების ჩვეულების გამო, რომ „სიძეს არ შეუძლიან ახსენოს სიმამრის და სიდედრის სახელი“. მეცნიერი შეწუხებულა და ამბობს: „მიზეზი ამ ჩვეულებისა სიბნელით არის გარემოცულიო“.\*

ფშაველი ქმარი და მისი ცოლი ისე დაჰბერდებიან, რომ ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ, – ეს უნამუსობად, სირცხვილად მიაჩნიათ. ათასში ერთი გამვლელ-გამომვლელი ფშაველი თუ არ ემორჩილება ამ ჩვეულებას, თორემ დანარჩენს – უმეტესობას კი ისევე მაგრა უჭიღია ხელი ამ ჩვეულებაზედ. როდესაც „არ მაგდისა!“, იძახის ფშაველი, ეს იმის ნიშანია, რომ ცოლს ეძახის. ფშაველი, თანახმად ძველის ჩვეულებისა და მოსეს რჯულისა, გააგდებს ცოლს, თუ არ გამოადგა და „განსატყვებელს“ აძლევს ხუთს ძროხას. მეთვეურობის ანუ ნიდოვანების დროს დედაკაცი გაჰყავთ სახლს გარეთ, ცალკე აგებულს სახლში (ქონში), ან გომურში. დედაკაცი იქ უნდა იყოს, მანამ არ მორჩება. მერე იბანებს და ისე შედის საჯალაფო სახლში. მშობიარე დედაკაცს ფშაველი გაუკეთებს ქოხს, სადგომს, სახლზე კარგა მოშორებით, და გაიყვანს დედაკაცს იქ, რადგან საჯალაფო სახლში შვილის შობა სახლის გაუნმინდურებად, „შელახვად“ მიაჩნია.

დედაკაცი უბებიოდ ჰშობავს. ვაკე საქართველოში – ქართლში და კახეთში – ორსულს, ფეხმძიმე დედაკაცს ისე უფთხილდებიან, რომ ცივს ნიავს არ მიადენენ, არაფერს გააკეთებინებენ,

\* Т а й л о р. доисторический быт человечества. გვ. 392.

\*\*იგივე თხზულება, გვ.392.

რა არის მუცელი არ წაუხდეს. ფშაველი ორსულს დედაკაცს არამც თუ არ აკეთებინებს საქმეს, საჭიროდაც მიაჩნია ფეხმძიმე დედაკაცის მუშაობა, რომ ყრმა დიდი არ გაიზარდოს და შობა გაუადვილდეს. ამიტომ ხშირად მოხდება, რომ, როდესაც დედაკაცი არის საქონელში, იქ ჰშობავს და ერთის მაგივრად ორი მოუვა სახლში „ჯალაფთ“. თუ ბაღმა ყვირილი არ დაიწყო, ვერც კი შეატყობთ, თუ დედაკაცს შვილი ჰყოლია. სიკვდილი დედაკაცისა მშობიარობის დროს იშვიათი შემთხვევაა. მშობიარეს ისე ერიდება ხალხი, როგორც უნმინდურს, თვითონ დედაკაცები საქმელს ქოხის სარკმლიდან ჩაანოდებენ... დედაკაცი უნმინდურად ითვლება შვიდს კვირას. ეს ჩვეულება შეეთანხმება მოსეს კანონს: „და ეტყოდა უფალი მოსეს და რქვა: ეტყოდე შენ ძეთა ისრაილისათა, და რქვა მათ დედაკაცმან, რომელმან მუცლად იღოს თესლი და შვას ნული, არა ნმინდა იყოს იგი შვიდ დღე“\*. უნდა აქ შევნიშნო, რომ ებრაული რჯულის წესები, როგორც თვითონ მკითხველი დაინახავს ქვეით, თვალსაჩინოდ სჩანან ხატების თაყვანისცემასა და ხევისბერობაში.

ფშავლის დედაკაცი არის მაგარი და გაუტყეხელი; კლდეებთან და ბუნებასთან ბრძოლის გამო მისი ხასიათი არის ნაწრთობი. ამიტომ სახლში მამაკაცის უყოლობა ისე არ დაანოკებს ოჯახს, როგორც ბარად მოხდება; დედაკაცი თუ დაქვრივდა, თვითონ დადგება გუთნისდებად და თავის მარჯვენით დაარჩენს ობლებს.

სახლი ფშავლისა არის ფართო, კედლები აქვს ყორისა, უკირო (ციკლოპური) და ყორეზედ არის დანყობილი დაუთლელი მსხვილი შოლტები (ხეები); შუაზე ანთია ზამთარ-ზაფხულ გაუქრობელი ცეცხლი, – კერა ორპირად არის გაყოფილი: ერთი საკაცო, მეორე სადედაკაცო. დედაკაცები სხედან ერთს მხარესა, კაცები მეორეზე: საკაცოში დედაკაცს არ შეუძლიან

---

\* იხ. დაბადება, წიგნი პირველი. ლევიტელთა წიგნი მოსესი, თავი IA.



დაჯდომა. ფშაველს უყვარს თავის კერაზე ყოფნა და მუსაიფი სტუმართან. იგი ცხოვრობს საქონლით – ცხვრით და ძროხით, ხნავს იმდენს, რამდენიც მის სახლობას ეყოფა. ორი ძმა რომ იყოს ოჯახში, ერთი მიდის ცხვარში, თრიალეთს და შირაქსა, მეორე უფლის შინაურობას, – თავისსა და ძმის ცოლშვილსა. ფშაველს თუმც უყვარს შინ ყოფნა და ზამთრობით ცეცხლის პირას დიდხანს სიფხიზლე და ფანდურით შექცევა, მაგრამ სარგებლობის გულისთვის მიდის აქეთ-იქით. ამ მოკლე ხანებში ფშაველებმა იწყეს სიარული სამუშაოდ კავკასეს; აგრეთვე ჩადიან კახეთს, იქ ჰხვენენ ხის ჯამებს, ხონჩებს, ტაბაკებს, ვარცლებს, რომლებსაც ჰყიდიან და თვითონაც ჰხმარობენ.

როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებით და დევეებით სავსე ჰგონია ქვეყანა. თვითეულს ადგილს, მთას, გორას, ხევს, მისის წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის. მონადირეს რომ დაუღამდეს სადმე მთაში ან ხევში, მიებარება ადგილის დედას: „ემ ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შამინახე შენის მაღლით და დავლათითო!“ დავლათი საშინლად სწამს ფშაველს. მდიდარს, წინნასულს კაცს ის ეძახის დავლათიანს (ილბლიანს). ფშაველს ზოგი კაცი ზოგს ხატზე ილბლიანი ჰგონია; უყვარს ნადირობა და ჰგონია, ნადირსაც თავისი საკუთარი პატრონი ჰყავს. ის ევედრება ნადირთ პატრონს, წარმოიდგენს იმას პატარა ქალად, რომ ხელი მოუმართოს; სწამს სიზმარი. მონადირე სიზმრით იგებს, რომ ნადირს მოჰკლავს: „წუხელის, ძმისავ, კარგი სიზმარი რამა ვნახე, ტყავს რასამ გავზიდავდი, ლეშს რასამ ვკიდებდი კირჩხაზე“.

ფშაველს სწამს ძლიერ კვირა-უქმე და შაბათი. კვირა-დღე იარაღის ხმარება და საქმის გაკეთება დიდ ცოდვად მიაჩნია, რომელსაც მოსდევს კაცით ან საქონლით დაზარალება. შაბათი, ფშაველის წარმოდგენით, „ინათლება“. შაბათის ნათვლა იმაში მდგომარეობს, რომ ფშაველს შეუძლიან ამ დღეს იმუშაოს, მხ-

ოლოდ იმ ღამეს უნდა თხა დაჰკლას და სანთლები მოანთოს.

სადაც ფშაველი დაინახავს ნანგრევებს, ქვას ან კლდეს, რომელსაც ადევს რამე განსაკუთრებითი ნიშანი და გამოიწვევს ფანტაზიის აპილპილებას, იქ დასახავს ან ანგელოზებს, ან ეშმაკებს; იმას სწამს ორნაირი მკითხავი: ერთი სულისა და მეორე ხატისა. ის დარწმუნებულია, როგორც ჯერედ ბევრი ველური ხალხები, რომლებთაც ჰსწამთ, რომ მიცვალებულთ სულები უხილავად იღებენ მონაწილეობას კაცის ცხოვრებაში, ნდომობენ სასმელ-საჭმელს როგორც ცოცხლები და ხანდახან კიდევ ემიზეზებიან თავის ნათესავეებს, თუ ამათ რამე სამსახური დააკლეს. სულის მკითხავს ეცხადება სულები და, მის შემწეობით, თვითეული სული აგებინებს ნათესავს თავის საჭიროებას. მეორენაირი მკითხავი არის ხატისა. რაც კი უბედურება შეემთხვევა, ფეხიცი რომ გადაუბრუნდეს, ფშაველი აწერს ხატის „მიზეზს“: მიდის მკითხავთან საკითხვინებლად. მკითხავი უპოვის, რომელიც თვითონ მკითხავს უნდა, იმ ხატის მიზეზს, შეაწერს ცხვარს ან კურატს და გაისტუმრებს გულდამშვიდებულს შინ გონებაგაყინულს სტუმარს. ფშაველი ხშირად კიდევ დაემდურება ხატს, თუ იმან არ შეინირა მისი შესანიშნავი და არ აუსრულა თხოვნა: „რა ვიცი, ღმერთმა იცის, სიალნის (სიმართლის) მეტი ქვეყანასთან არა მიმიძღვის, მაგრამ ბედენა ვერაი ვქენ, ხატისად არა დამიკლავ, ცოცხლისად, მკვდრისადა, ვინც გულმრუდია, ის უფრო ჩემზე კარგა ჰცხოვრობს!!“

როდესაც კვდება ვინმე, ფშაველს ჰგონია, რო „მგებრნი“ (სულები) მოვლენ და ისინი წაიღებენ ახლად მიცვალებულის სულს. მგებრად საიქიოდან მოდიან „უკლონი“ ანუ ვინც უძეონი დაიხოცნენ. ფშაველი ფატალისტია: კაცს, რაც შუბლზედ აწერია, ის არ ასცდება; კაცი უმწერლოდ, ესე იგი თუ არ წერით, არ მოკვდება. ფშაველს რომ ურჩიო, შვილები მიეცი სკოლაშიო, – ის მაშინვე იმას გიპასუხებს: „ჩვენთვის ესე დაუწერია ღმერთს, ესე უნდა ვიყვნეთო“.

ქრისტიანული წესებიდამ ყველაზედ მომეტებულად სწამს ზიარება, მონათვლა და მარხვა, განსაკუთრებით, დიდმარხვა. ზიარებას ისე უცქერის ფშაველი, როგორც სამკურნალო წამალს. ამიტომ ეზიარება მხოლოდ ავადმყოფობის დროს. ახალის მიცვალებულის პატრონი ვერ მოჰკლავს უწმინდურს ცხოველს, რადგან იმას სწამს, რომ იმ უწმინდურის ცხოველის სული გააუწმინდურებს კაცის სულს; თუ სანადიროდ წასული ფშაველი ნადირს ესვრის და ააცდენს, მაშინვე იფიქრებს, რომ თოფი შეკრულია გაუწმინდურებით ან თვალის ვნებით. ამიტომ იგი არ ესვრის თოფს ყორანს, ძაღლს და კატას, ამათ შეუძლიანთ თოფის შეკვრაო. ვინც კატას მოჰკლავს, იმან საიქიოს უნდა ცხრა საყდარი ააშენოს; ვინც გაბედავს კატის მოკვლას და მის ფეხებს ატარებს თან, იმას ხატი ვერაფერს დააკლებს, ან, როგორც თვითონ ამბობენ, „ხატი არ მიუდგებაო“. კატა, ვიცით, რომ ძველად ეგვიპტელებს მიაჩნდათ ღმერთად და ინდოეთში კატებისათვის არის აშენებული ტაძარი, იქ ქალები არიან მონოზნად, უვლიან და ჰზანენ კატებსა.

ფშაველი ფჩხილის ნაკვეთს, თმის ნაკრეჭს და პირის ნაპარსს არ გადააგდებს, ეშმაკი დაეპატრონებაო. ამიტომ ან დასწვავს, ან კიდევ დამალავს სადმე მოფარებულს ადგილას. როდესაც საქონელი დაჰრჩება ღამე გარეთ, ფშაველი ულოცავს, რომ მგელს კბილი ანუ პირი შეუკრას. თევდორობა-ღამეს მარილის სანაყს ქვას (გურჩს) მიაბმენ ფშაველები ბოძზე წნელით, ჩაუდებენ ნაღვერდალს, სრულად დარწმუნებულნი, რომ მგელს ამითი პირი დაენვებაო; ამ ღამეს დედაკაცი გამოაცხოვოს კვერებს მგლის სახისას, რომლებსაც „მგელთ კვერებს“ ეძახიან. მეორე დღეს ბაღლები მგელთ კვერებს ისრებით „ჰკოდენ“.

ახალწლის ღამეს დედაკაცი აცხოვს „ბედის კვერებს“ ყველა სახლში მყოფის კაც-დედაკაცისათვის და ერთს საზოგადო კვერს. მეორე დღეს კვერებს ნახვენ, ვისიც კვერი გასივდება, ის იმატებს იმ წელს. საზოგადო, საოჯახო კვერში არის ჩანიშნული

ცხვარი, ძროხა, ფუტკარი და სხვა, რომელიც ამათგანი გასივდებოდა, ის მოიმატებს... ახალწელიწადს, როდესაც მეკვლე მოდის, ამ კვერს შეაგორებს სამჯერ სახლში. თუ წალმა მიდის კვერი, ოჯახის საქმე წალმა ივლის, თუ უკუღმა – ოჯახის საქმეც უკუღმა წავა. მეკვლეს დააბერებენ თაფლ-ერბოთი; ყველიერის შაბათს უდუღებენ ჩიტებს და თაგვებს ფაფას, გაუტანენ ბანზე ნაფოტებზე გაკრულს. ბაღლი ჩასძახის დედას სარკმლიდან:

- დედავ, რასა იქ?
- ჩიტთა ფაფასა, – უპასუხებს დედა.
- ჩიტნი რას ჰსჭამენ?
- სხვათა ყანასა.

ეს ჩვეულება მიაჩნიათ თაგვების და ჩიტების მოსამადლიერებელ საშუალებად. პარასკევ დღეს დედაკაცი მატყლეულს არაფერს გააკეთებს. ცხვარი დარეტიანდებო.

## II

### მკვდარზედ

ფშაველი არის ნათესაობის მოყვარული, თავისიანს ჭირსა და ლხინში გვერდს უდგა და არა ჰშორდება. თუ მიცვალებულია სოფელში, თუნდ მისი ნათესავი არ იყოს, დაიუქმებს. მანამ მიცვალებულს მინას არ მიაბარებენ, მთელი სოფელი უქმობს. მკვდრის პატრონი ყველას ებრალება და მისთვის ყველას გული შეჰსტკივა: ხალხი ეწევა, რითაც ვის შეუძლიან. დედაკაცები გროვ-გროვად მივლენ მკვდრის პატრონთან და მიიტანენ თითო ხმადს და ჩარექით არაყს. ზოგს მიჰყავს საკლავი.

ტირილი მიცვალებულზე ზარით იციან. მოზარენი უსასყიდლოდ ტირიან. მკვდარს, კუბოში ჩასვენებამდე, ასვენებენ ნაბადზე გარედ დერეფანში. კარებში გასდებენ უღელს, რადგანაც ის იმის მსახური იყო, და ევედრებიან, – ამ უღლის მადლო,